

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მუნიციპალური სერვისების განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	08 02
--------------------------------------	-------

პროგრამის დასახელება:

მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2019-2022 წლები
--	-----------------

პროგრამის მიზანი:

მონაწილეობითი ბიუჯეტების დანერგვის მიზანს წარმოადგენს თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა უშუალო ჩართულობის მექანიზმის ინსტიტუციონალიზაცია, მოქალაქეთა საჭიროებებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავება და საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება.

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

მონაწილეობითი ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ალტერნატიული მექანიზმი, წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის ნაწილს, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობით მუშავდება და განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი პროექტები. მონაწილეობითი ბიუჯეტების პროცესი ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტების ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. საჯარო ხმის მიცემის საფუძველზე გამოვლენილი პირველი სამი საპროექტო განაცხადი, რომელმაც ხმის მიცემის პროცედურის საფუძველზე დააგროვა ყველაზე მეტი ხმა დაფინანსდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
მონაწილეობითი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტის დაფინანსება	190 000	40 000	50 000	50 000	50 000
მონაწილეობითი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტის დაფინანსება	190 000	40 000	50 000	50 000	50 000
მონაწილეობითი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტის დაფინანსება	190 000	40 000	50 000	50 000	50 000
სულ პროგრამა	570 000	120 000	150 000	150 000	150 000

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში

დამატებითი ინფორმაცია

იმ შემთხვევაში, თუ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების საერთო ბიუჯეტი, ნაკლებია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტებისთვის წინასწარ განსაზღვრულ საერთო ბიუჯეტზე, მაშინ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი დამატებით აფინანსებს მომდევნო საუკეთესო საპროექტო განაცხადს, თუ ის შეესაბამება დარჩენილ ბიუჯეტს